თბილისი
ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-30829-23
19 / 05 / 2023

შპს „არტსტუდიო-პროექტი“-ს დირექტორს
ირენე სკალვინს

ქალბატონო ირენე,

თქვენი მიმდინარე წლის 5 მაისის №02-13-30829-23 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ერისთავ-ხოშტარიას ქუჩა №2-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.15.02.037.002) გაზსადენის მდებარეობის შესახებ ინფორმაციის მოწოდებას და დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით პოზიციას გაცნობებთ, რომ კომპანიაში არსებული მონაცემთა ბაზის მიხედვით აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე გადის შპს „თბილისი ენერჯის“ კუთვნილი საჰაერო D=50 მმ-იანი დაბალი წნევის გაზსადენი (იხ. დანართი).

კომპანია არ არის წინააღმდეგი ზემოაღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე აწარმოოთ სამშენებლო სამუშაოები შემდეგი პირობის გათვალისწინებით:

- მილსადენთან მიმართებაში დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ნორმები, არ უნდა შეიზღუდოს გაზსადენის ტექნიკური მონიტორინგის პროცესი და საჭიროების შემთხვევაში მისი შესაბამისი მომსახურების შესაძლებლობა.

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნული მილსადენის დემონტაჟი/დროებით გაუქმება შესაძლებელია მრიცხველის მესაკუთრის (აბონენტის) განცხადებით მომართვის შემთხვევაში.

საჭიროებისამებრ, გენგეგმის დასამოწმებლად უნდა წარმოადგინოთ ასაშენებელი ობიექტის დეტალური PDF-ვერსია 1:500 მასშტაბით, სადაც დატანილი იქნება პირობითი აღნიშვნები, შემსრულებლის ხელმოწერა და ბეჭედი. ასევე, კომპანიის გაზსადენი უსაფრთხოების ზონების დაცვის გათვალისწინებით.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირეტორი ტექნიკურ საკითხებში